ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. აპრილის 25. № 10 ტფილისი.

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

50. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ეროვნებათა განყოფილების დაარსების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

51. საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსების და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

52. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ნებადართვის შესახებ—მოაწყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სახელოსნო სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესამუშავებლად.

სათევზო და სანადირო მეურნეობა.

53. ფოთის, სენაკის, ხონისა და ზუგდიდის რაიონებში შველზე და ხოხობზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

54. 1935 წელს საქართველოს სსრ-ში ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების შესახებ.

55. სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ვაშლისა და მსხლის ფასების შესახებ.

56. სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ბოსტნეულის სადამზადებლო ფასების შესახებ.

ფინანსები.

57. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-17, 18 და 19 მუხლების შეცვლის შესახებ.

შრომა.

58. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომუშავე პერსონალის რიცხოვნობის და ხელფასის ფონდის ერთდროული აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

განათლება.

59. იმ პირთა მიერ, რომელნიც ავტო-მანქანების მტარებელთა კურსებს ამთავრებენ, ავტომეურნეობებში სავალდებულო ორთვიანი პრაქტიკული სტაჟის განვლის შესახებ.

60. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტურო ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.

61. საქართველოს სსრ-ის სარაიონო ცენტრებში ხმოვანი კინოს მოწყობის შესახებ.

სისხლის სამართალი.

62. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 110² მუხლის დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

50. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ეროვნებათა განყოფილების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ეროვნებათა განყოფილება.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. მარტის 4.
ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

51. დადგენილება ს.კ.ს.

144

საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსების და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეადგინოს, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმასთან ერთად, წლიური და კვარტალური ბალანსები და გეგმები რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ორგანიზაციების მომარაგებისა მასალით და გაწყობილობით და აგრეთვე წლიური და კვარტალური ბალანსები და გეგმები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა მომხმარებელი ორგანიზაციის და მშენებლობის (საერთო საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობისა) მომარაგებისა ადგილობრივი საშენი მასალით. აღნიშნულ ბალანსებსა და გეგმებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ორგანიზაციათა მომარაგების გეგმებში გამოეყოფათ მასალისა და გაწყობილობის დამოუკიდებელი ფონდები (როგორც საწარმოო მიზნებისათვის, ისე მშენებლობის საჭიროებისათვის) შემდეგ სახალხო კომისარიატებს და მომხმარებელ ორგანიზაციებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს,
ბ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს,
გ) საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს,
დ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს,
ე) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს,
ვ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,
ზ) საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.
თ) საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს (რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის გზებისათვის),
ი) საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს და ავტონომიურ ოლქს,
კ) საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირს,
ლ) ტფილისის საქალაქო საბჭოს,
მ) საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობას,
ნ) მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის მშენებლობას,
ო) წიგნის სასახლის მშენებლობას,
პ) გაზ. „კომუნისტის" სტამბის მშენებლობას,
ჟ) ღარიბ ებრაელთა კომიტეტის საბინაო მშენებლობას,
რ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რეზერვი.

3. დაევალოს ზემოჩამოთვლილ სახალხო კომისარიატებს და ორგანიზაციებს წარადგინონ ხოლმე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში თავისი განაცხადები მათთვის საჭირო მასალისა და გაწყობილობის შესახებ 45 დღით ადრე დასაგეგმი კვარტალის დაწყებამდე. ამავე ვადაზე სახალხო კომისარიატები და ორგანიზაციები-მიმწოდებლები, რომელნიც მასალასა და გაწყობილობას აწარმოებენ, წარადგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ცნობებს თავისი პროდუქციის რაოდენობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეადგენს მომარაგების ზემოაღნიშნულ გეგმებს იმ მასალისა და გაწყობილობის საგნების ხაზით, რომელთაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გეგმავს და ანაწილებს,— გამოგზავნილი ფონდების ფარგლებში, ხოლო დანარჩენი მასალისა და გაწყობილობის ხაზით—მიმწოდებელი ორგანიზაციების პროდუქციის გამოშვების გეგმების შესაბამისად.

5. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ორგანიზაციებს, რომელნიც ანხორციელებენ მასალისა და გაწყობილობის მიწოდებას, როგორც მშენებლობისათვის, ისე წარმოების საჭიროებისათვის, აწარმოონ მასალითა და გაწყობილობით მომარაგების გეგმების შესრულების სისტემატური ოპერატიული აღრიცხვა და თვითეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის 16 და 1-ლ რიცხვს წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ცნობები ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) ერთი დეკადის ვადაზე შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ მასალისა და გაწყობილობის ნომენკლატურა, რაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ არ იგეგმება და რაც დაგეგმილ უნდა იქნას ამა დადგენილების წესისამებრ;

ბ) ამავე ვადაზე გამოსცეს, საქართველოს სსრ დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 22. № 202.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

52. დადგენილება ს.კ.ს.

351.6

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ნებადართვის შესახებ—მოაწყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სახელოსნო სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესამუშავებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სახელოსნო სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ობიექტთა გეგმების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესამუშავებლად.

2. საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოთა სასყიდლის გაღების წესი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მაისის 27-ის დადგენილებით „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 238; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 15), გავრცელებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული სახელოსნოს მიერ მისაღებ სამუშაოებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 4. № 330.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათევზო და სანადირო მეურნეობა

53. დადგენილება ს.კ.ს.

ფოთის, სენაკის, ხონისა და ზუგდიდის რაიონებში შველზე და ხოხობზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს 5 წლის ვადით ფოთის, სენაკის, ხონისა და ზუგდიდის რაიონებში შველზე და ხოხობზე ნადირობა.

2. ამ დადგენილების დამრღვევი პირები მიიცემიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1 ნაწილს მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 26. № 212

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

54. დადგენილება ს. კ. ს.

1935 წელს საქართველოს სსრ-ში ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულით ექსპორტისა და სსრ კავშირის მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ-ში სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის შემდეგი სადამზადებლო გეგმა

	(ტონობით):	
1) ბელადონის ფოთოლი . , ...	6	ტონა
2) ლემის ფოთოლი	2	„
3) დაფნის ფოთოლი	550	„
4) კავკასიური გვირილა	9	„
5) ჯადვარი	1	„
6) მოცვის მარცვალი	50	„
7) ევქალიპტის ფოთოლი	5	„
ს უ ლ . .	623	ტონა

შენიშვნა. ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის (კატა-ბალახის, ასკილის, ენდროს, შროშანის, მზესუმზირის და სხვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადებას აწარმოებს რესპუბლიკანური საავტონომიო სამმართველოს გეგმის გარეშე, უშუალოდ ან ხელშეკრულების საფუძველზე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საშუალებით—საქხილბოსტანის სახით.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, სამი დღის ვადაზე დაანაწილოს სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების გეგმა რაიონებისა და კვარტალების მიხედვით და მიაწვდინოს რაიონებს.

3. ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის ძირითად დამზადებლად საქართველოში დამტკიცებულ იქნას სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა საქხილბოსტანის სახით, რომელიც აწარმოებს აღნიშნული ნედლეულის დამზადებას ამიერკავკასიის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის საერთო ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. დამტკიცებულ იქნას იმ ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის სადამზადებლო ფასები, რომელიც თავისი ხარისხით შეესაბამება 1935 წლისათვის დაწესებულ საბაზისო კონდიციებს, ფრანკო—მიმღები პუნქტი სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებისა:

	კილოგრამი—მანეთობით.
1) ბელადონა	3 მან.
2) ლემის ფოთოლი	1 „ 25 კაპ.
3) დაფნის ფოთოლი	4 „
4) კავკასიური გვირილა	2 „ 50 კაპ.
5) ჯადვარი	6 „
6) მოცვის მარცვალი	5 „
7) ევქალიპტის ფოთოლი	75 „

5. სსრ კავშირის ექსპორტის მომარაგება და ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის ჩაბარება ექსპორტის მიზნით საექსპორტო ორგანიზაციისათვის, საკავშირო ტრესტის „ლეკტექსირიოს“ განრიგების მიხედვით, დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის გაგზავნა დაწესებული სტანდარტებისა და თვისობრივი კონდიციების შესაბამისად.

6. დამზადებათა დაწესებული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად დაევალოს ცეკავშირს და საქხილბოსტანს:

ა) 1935 წ. პირველი კვარტალის განმავლობაში მოაწყონ სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების ძირითად რაიონებში სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების ინსტრუქტორთა, მიმღებთა და ამკრეფთა მოკლევადიანი მოსამზადებელი და გარდასამზადებელი კურსები;

ბ) გამოიყენონ ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოები და რადიო—მოსახლეობის მიერ სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის აკრეფისა და ჩაბარების შესახებ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გააძლიეროონ ბრძოლა სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის თვისებისათვის და მიიღონ რეფაქციები და ბონიფიკაციები ისეთ ჩაბარებულ ნედლეულზე, რომელიც არ შეესაბამება საბაზისო კონდიციას;

დ) შემოიღონ დამზადების კვარტალურ გეგმათა ყოველთვიური სანომენკლატურო აღრიცხვა და დააწესონ სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა, სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო კავშირთა, სამომხმარებლო კოოპერაციის სადარგო გაერთიანებათა და სხვა სისტემათა და უწყებათა ცალკე მომუშავეების დაპრემირება დამზადებისა და გაგზავნის გეგმების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის თვითეულ კვარტალში;

ე) საქხილბოსტანმა უნდა უზრუნველყოს სპეციალური საინსტრუქტორო პერსონალის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენება და მიამაგროს ეს პერსონალი დამზადების მთელი დროის განმავლობაში ცალკეულ რაიონებს და სასოფლო საბჭოებს, რომელნიც ყველაზე უფრო პროდუქტიული არიან ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის მოსავლის მხრით.

7. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას, რომელსაც დამზადების ნება არ მიეცა, ყველა სახის სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადება.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიოს ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების მსვლელობას.

9. დაევალოს საქხილბოსტანს წარუდგინოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ყოველდეკადური ოპერატიული ანგარიშები ველურად მზარდი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 24. № 208.
ტფილისი.

55. დადგენილება ს.კ.ს.

45.013

სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ვაშლისა და მსხლის ფასების შესახებ.

„გამომცხვარი პურის, ფქვილის და ბურღულის საბარათო სისტემისა და ტექნიკური კულტურების პურით დასაქონლების სისტემის გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 64, მუხ. 445) განსაკითარებლად და „სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ვაშლისა და მსხლის სადამზადებლო ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1935 წ. თებერვლის 14-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას ვაშლისა და მსხლის შემდეგი სადამზადებლო ფასები მანეთობით ტონაზედ:

	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ვაშლი	500 მან.	425 მან.	375 მან
მსხალი	700 „	625 „	575 „

შენიშვნა. დაწესებულ იქნას საზაფხულო მსხლის ადგილობრივი ჯიშების სადამზადებლო ფასი—ტონა 350 მან.

2. ვაშლისა და მსხლის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული სადამზადებლო ფასები გადახდილ უნდა იქნას ფრანკო-ბალი-გროვა მე-II ხარისხის ვაშლსა და მსხალზე.

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში დააწესოს: ა) ვაშლისა და მსხლის ჯიშების ჯგუფობრივი დაყოფა; ბ) მაღალხარისხოვანი ვაშლისა და მსხლის სადამზადებლო ფასები და გ) თვისების მიხედვით დანაკლებისა და წანამატის რაოდენობა ვაშლისა და მსხლის ყველა ჯიშზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 2. № 259.

ტფილისი.

56. დადგენილება ს.კ.ს.

45.013

სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ბოსტნეულის სადამზადებლო ფასების შესახებ.

„გამომცხვარი პურის, ფქვილის და ბურღულის საბარათო სისტემისა და ტექნიკური კულტურების პურით დასაქონლების სისტემის გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 61, მუხ. 445) განსავითარებლად“ და „სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ბოსტნეულის სადამზადებლო ფასების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1935 წლის თებერვლის 14-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას 1935 წლის თებერვლის 15-დან სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი ბოსტნეულის ახალი სადამზადებლო ფასები შემდეგი რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბოსტო ერთი ტონა	65	მან.
ხახვი „	475	„
ჭარხალი „	90	„
სტაფილო:		
საკონსერვო ქარხნებისა და ხილბოსტნეულის საწარმოთა ზონის გარეშე—ერთი ტონა	100	„
საკონსერვო ქარხნებისა და ხილბოსტნეულის საწარმოთა ზონაში—ერთი ტონა . . .	115	„
კიტრი . . . . . „	100	„
პამიდორი:		
საკონსერვო ქარხნებისა და ხილბოსტნეულის საწარმოთა ზონის გარეშე—ერთი ტონა	130	„
საკონსერვო ქარხნებისა და ხილბოსტნეულის საწარმოთა ზონაში ერთი ტონა	150	„
ბადრიჯანი—ერთი ტონა	175	„
წიწაკა „	215	„
ბერძნული გოგრა (კაბაჩკი)	150	„
საკონსერვო ჯიშის კიტრი (კორნიშონი) . .	550	„

2. დაწესებულ იქნას ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული სადამზადებლო ფასების წანამატი ბოსტნეულის დამზადების დროს ქ. ტფილისის საგარეუბნო რაიონში—20%-ის რაოდენობით და საკონსერვო ქარხნებისა და ხილბოსტნეულის საწარმოთა ზონაში—10%-ის რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამ დადგენილების შესაბამისად ერთი თვის ვადაზე დააწესოს: ა) საადრეო ბოსტნეულის ფასები და ბ) 1935 წლის მოსავლის ბოსტნეულის ხარისხობრივი შეფასება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 2. № 260.
ტფილისი.

ფინანსები

57. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-17, 18 და 19 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების მე-17, 18 და 19 მუხლების (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71; 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 99; 21 №-ი, მუხ. 202) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„17. ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღები დაედება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობას მიწაზე, თაფხით, ტარებით, ზიდვით ქუჩებში, მოედნებზე, ბაზრებზე, რკინის გზის სადგურებზე და ნავსაყუდებზე, ან სხვა ადგილას, როგორც ქალაქად, ისე ქალაქს გარეთ“.

„18. ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი დღის ვაჭრობაზე:

ა) კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მშრომელი გლეხებისათვის, რომელნიც ჰყიდიან თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებს, თავიანთ საკუთარ ოთხფეხ საქონელს, თავიანთ მიერ დამზადებულ შეშას და ნახშირს და აგრეთვე თავიანთი შრომით მოპოებულ მხილეულს, სოკოს, ყვავილებს, თევზს და ნანადირევს:

ზიდვით ვაჭრობისათვის	1 მანეთს	
ხელზე, თაფხით და სხვა მისთ. ვაჭრობისათვის	--	20 კაპიკს
თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე	1 მანეთს	
თითო სულ წვრილფეხა საქონელზე	—	50 კაპიკს;

ბ) სხვა პირებისათვის, რომელნიც ჰყიდიან განსაკუთრებული სიით ნებადართულ საგნებს, და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობებისათვის, კოლმეურნეებისათვის და ერთპიროვნული მეურნეებისათვის, რომელნიც ჰყიდიან წინა პუნქტში არაგათვალისწინებულ საგნებს:

ბაზარზე ვაჭრობისათვის ხელზე, თაფხით და სხვა მისთ.—2 მანეთს,

ბაზარს გარეთ ვაჭრობისათვის ხელზე, თაფხით და სხვა მისთ.—3 მანეთს“.

„19. ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღების გადახდისაგან განთავისუფლდებიან:

ა) კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი, რომელნიც ჰყიდიან ხელზე ფრინველს, კვერცხს, რძეს, კარაქს (ერბოს) და ყველს;

ბ) ის პირნი, რომელნიც ჰყიდიან ხელზე ან მიწაზე თავიანთ საოჯახო ნახმარ საგნებს;

გ) ის პირნი, რომელთაც გადაიხადეს საიჯარო ქირა ადგილისათვის ბაზარზე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. თებერვლის 22. № 18/204.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

58. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ს.კ.ს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომუშავე პერსონალის რიცხოვნობის და ხელფასის ფონდის ერთდროული აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

„განსაზოგადოებული მეურნეობის წამოწყებებში და დაწესებულებებში მომუშავეთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის ჩატარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 1-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, წამოწყებაში და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვა 1935 წ. მარტის თვის მიხედვით—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახალხო კომისარიატებისა და უწყებების შრომის ანგარიშების შესახებ“ გამოცემული 1934 წ. ოქტომბრის 11-ის თარიღისა და 2360 №-ის დადგენილებით დამტკიცებული შრომის აღრიცხვის მიმდინარე ანგარიშების ფორმების საფუძველზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ უწყებას, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ადგილობრივ ორგანოს უზრუნველყოს მისთვის დაქვემდებარებულ (გამოუკლებლივ) ყველა წამოწყების და დაწესებულების მიერ 1935 წ. მარტის თვეში პერსონალის რიცხოვნობის და ხელფასის ფონდების შესახები ცნობების წარდგენა სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებში, იმ ფორმებისა და ვადების მიხედვით, რაც დამტკიცებულია „სახალხო კომისარიატებისა და უწყებების შრომის ანგარიშგების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილებით.

შენიშვნა. ის ორგანიზაციები, რომლებისთვისაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია შრომის კვარტალური ანგარიშგება, ერთდროული აღრიცხვის ცნობებს წარადგენენ 1935 წ. 1-ლი კვარტალის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს იხმაროონ ღონისძიებანი ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 19. № 365.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 67 №-ში, 1935 წ. მარტის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

59. დადგენილება ს.კ.ს.

572.12

იმ პირთა მიერ, რომელნიც ავტო-მანქანების მტარებელთა კურსებს ამთავრებენ, ავტომეურნეობებში სავალდებულო ორთვიანი პრაქტიკული სტაჟის განვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას, რომ იმ პირებმა, რომელნიც ამთავრებენ ავტომანქანების მატარებელთა კურსებს, აუცილებლად უნდა განვლონ ავტომეურნეობებში ორთვიანი პრაქტიკული სტაჟი.

2. ზემოაღნიშნული პრაქტიკული სტაჟის განმვლელ პირებს სამუშაო ხელფასს უხდის ის ორგანიზაცია, რომლის ავტომეურნეობაშიაც იღებს სტაჟს ავტო-მანქანის მტარებელოა კურსების კურსდამთავრებული პირი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილების და ყამირ-გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს:

ა) ერთი დეკადის ვადაზე დააწესოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სამუშაო ხელფასის განაკვეთები იმ პირებისათვის, რომელთაც დაამთავრეს ავტო-მანქანის მტარებელთა კურსები და იღებენ პრაქტიკულ სტაჟს ავტომეურნეობაში;

ბ) იმავე ვადაზე შეიმუშაოს, სათანადო უწყებებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, იმ ავტომეურნეობების სია, სადაც ავტო-მანქანის მტარებელთა კურსების კურსდამთავრებულმა პირებმა უნდა გაიარონ პრაქტიკული სტაჟი, და გაანაწილოს ამ ავტომეურნეობათა შორის 1935 წელს კურსდამთავრებულთა კონტინგენტები.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სათანადო ორგანიზაციათა საშტატო კონტინგენტებისა და სამუშაო ხელფასის ფონდების დამუშავების დროს უზრუნველყოს აღნიშნული ღონისძიების გატარება 1935 წელს.

5. აეკრძალოს ყველა დაწესებულებას, წამოწყებას და ორგანიზაციას სამუშაოზე ავტომანქანის მტარებელთა მიღება იმ პირთაგან, რომელთაც დაამთავრეს კურსები, ხოლო არ გაუვლიათ ზემოაღნიშნული პრაქტიკული სტაჟი ავტომეურნეობებში და არ მიუღიათ სახელმწიფო ავტო-ინსპექციიდან ავტომანქანის დამოუკიდებლად ტარების სპეციალური ნებართვა.

იმ პირებს, რომელნიც მიიღებენ სამუშაოზე ავტო-მანქანის მტარებელს ამ მუხლში აღნიშნული წესების დარღვევით, გადახდებათ ადმინისტრატიული წესით ჯარიმა 100 მანეთამდე, რომელსაც დაადებს მათ სახელმწიფო ავტო-ინსპექცია, ხოლო უკეთუ ამ დარღვევას მძიმე შედეგები მოჰყვა, ისინი მიიცემიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103² მუხლის მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 5. № 289.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 65 №-ში, 1935 წ. მარტის 17.

---

60. დადგენილება ს.კ.ს.

917.1

სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტურო ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.

სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტურო ფონდის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ოქტომბრის 5-ის თარიღისა და 2340 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 53 №-ი, მუხ. 413), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების და ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა საპროექტო ორგანიზაციას—დარიცხოს ხოლმე 10% იმ საწარმოო-ტექნიკური პერსონალის ხელფასს, რომელიც მუშაობს სამრეწველო, საბინაო, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო შენობების, საარქიტექტურო-სამშენებლო დაპროექტებისა და სარეკონსტრუქციო ქალაქების და ახალი ქალაქების დაგეგმვის საქმეში.

აღნიშნული დანარიცხი ჩიიცეს სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტურო ფონდში.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებული დანარიცხი შეიტანება დაპროექტების სამუშაოთა კალკულაციაში.

2. დაევალოს ყველა ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კონკურსს აწყობს, შეიტანოს ზემოაღნიშნულ ფონდში 5% იმ ჰონორარისა და პრემიისა, რაც გადახდილ იქნება სამრეწველო, სამოქალაქო, სოციალურ-კულტურული დი საყოფაცხოვრებო შენობების დასაპროექტებლად მოწყობილი დახურული და ღია კონკურსით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ერთი დეკადის ვადაზე გამოსცეს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ საბჭოთა არქიტექტორების კავშირთან ერთად, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 26. № 220.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. დადგენილება ს.კ.ს.

917.7

საქართველოს სსრ სარაიონო ცენტრებში ხმოვანი კინოების მოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1634 წ. დეკემბრის 11-ის № 2698 დადგენილების შესაბამისად „სარაიონო ცენტრებში ხმოვანი კინოების მოწყობის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტომრეწველობის სამმართველოს მოაწყოს 50 ხმოვანი კინო სარაიონო ცენტრებში, რისთვისაც გამოიყენოს არსებული სტაციონალური კინო-თეატრების სადგომები, ხოლო სადაც ასეთი არ მოიპოვება, წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პროფესიონალურ კავშირთა სარაიონო საბჭოებს გადასცენ ხსენებულ სამმართველოს ამ მიზნისათვის გლეხებისა და კულტურის სახლების სადგომები და სხვა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტომრეწველობის სამმართველოს ხმოვანი კინოები მოაწყოს შემდეგ ვადებზე: იანვარში—7, თებერვალში—6, მარტში—7, აპრილში—9, მაისში—7, ივნისში—7, ივლისში—7.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გაითვალისწინონ ადგილობრივ ბიუჯეტში ხმოვანი კინოების გაყენებისათვის და მათი მუშაობის ორგანიზაციისათვის საჭირო სახსარი და უზრუნველყონ სათანადო თანხების გადარიცხვა კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს განკარგულებაში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს დაუყოვნებლივ დასდოს „კინომექანპრომთან" გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც გაითვალისწინოს კინოაპარატურისა და სახმო აპარატის მიწოდება დაკომპლექტებული სახით.

5. ხმოვანი კინოების საჭირო კადრებით უზრუნველყოფისათვის:

ა) წინადადება მიეცეს კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს მოაწყოს კურსები ხმოვანი კინო-მექანიკოსების მოსამზადებლად;

ბ) მიენდოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივ კინო-ორგანიზაციებთან ერთად შეარჩიონ უხმო კინოს კვალიფიცირებულ მექანიკოსთა რიცხვიდან (მათ შორის იმ კინო-მექანიკოსთაგანაც, რომლებიც ამჟამად მუშაობენ არა თავის სპეციალობაზე) სათანადო პირები და არა უგვიანეს მიმდინარე იანვრის 13-ისა მიავლინონ ისინი კინო-ფოტომრეწველობის სამმართველოს განკარგულებაში ზემოაღნიშნულ კურსებზე ჩასარიცხად.

6. წინადადება მიეცეს კინო-ფოტომრეწველობის სამმართველოს ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს ელექტრო-სამონტაჟო და საშენი მასალის განაცხადი საქმარაგგასაღებას და „ვეო"-ს ადგილობრივ განყოფილებას, ხოლო უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელებმა უზრუნველყონ ამ მასალების გაღება სახკინმრეწვის განკარგულებაში ხუთი დღის განმავლობაში ნაღდ ანგარიშზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 4. № 11.
ტფილისი.

სისხლის სამართალი

62. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 110¹ მუხლის დამატების შესახებ.

„ოპიუმის ყაყაჩოსი და ინდოეთის კანაფის დათესვის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ოქტომბრის 27-ის დადგენილების მე-5 მუხლის (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 56, მუხ. 422) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაემატოს სისხლის სამართლის კოდექსს 110¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„110¹. ოპიუმის ყაყაჩოს და ინდოეთის კანაფის დათესვა სათანადო ნებართვის გარეშე გამოიწვევს

> თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ნათესის სავალდებულო კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. თებერვლის 20. № 8/192.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 117. ბ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 1/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8735. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 520